



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302315940
 თარიღი: 08/06/2023

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილი „დ,ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა - ლია კუპრაძემ (კანცელარიის ნომერი N19/302315027-30 30/05/2023 წ.) და მაია თურმანიძემ (კანცელარიის ნომერი N19/30231508-30 30/05/2023 წ.) რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ სარგებლობის ქირის საფასურის გაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს - ლია კუპრაძესა და მათა თურმანიძეს სრულად აქვთ გადახდილი მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადი. სამსახური ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მოგვცეთ თანხმობა.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

- ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
- ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომსახურებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომსახურებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური**



წერილის ნომერი: **08-302315170**
თარიღი: **31/05/2023**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის
სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის დ.ე. თავის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიძღვების/მართვის უფლებით მიძღვების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების საკითხი. ასევე მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბერის №669 დადგენილების 33-ე მუხლის მე-5-ე თავის მიხედვით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების საკითხი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებებით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოიჯარეებმა (მიაი თურმანიძე - კანცელარიის ნომერი N 19/30231508-30 30.05.2023 წელი, ორი ხელშეკრულება: ხელშეკრულება N 3 - 24.06.2021 წელი და ხელშეკრულება N 4 - 24.06.2021 წელი. ლია კუპრაძე - კანცელარიის ნომერი N 19/302315027-30 30.05.2023 წელი, ხელშეკრულება N 2 - 17.09.2020 წელი.) რომლითაც ითხოვენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ჩამოწერას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ ნახსენებ მოიჯარეებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო ჩამოეწეროთ, რადგან მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადი ამ დროისათვის სრულად გადახდილია.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარსადგენი პროექტის მომზადება.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნიანი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის
უფროსი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302315911
თარიღი: 08/06/2023

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და სამართლებრივი
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა

ჩვენი 2023 წლის 31 მაისის N 08-302315170 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ რომ განმცხადებელს ლია კუპრაძეს 17.09.2020 წლის N 2 - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო 2022 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს - 1025 ლარს, განმცხადებელ მაია თურმანიძის 24.06.2021 წლის N 3 - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო 2022 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს - 1530 ლარს ხოლო 24.06.2021 წლის N 4 - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო 2022 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს - 1530 ლარს.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნიანი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2023 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილი „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებს, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, გათავისუფლოს მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2022 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან კერძოდ:

ა) ლია კუპრაძე - მისი განცხადების საფუძველზე, (კანცელარიის ნომერი N19/302315027-30 30/05/2023 წ.) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 233730139) და ლია კუპრაძეს (პ/ნ 26001028145) შორის გაფორმებული 2020 წლის 17 სექტემბრის N2 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს – 1025 (ათას ოცდახუთი) ლარი.

ბ) მაია თურმანიძე - მისი განცხადების საფუძველზე, (კანცელარიის ნომერი N19/30231508-30 30/05/2023 წ.)

ბ.ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 233730139) და მაია თურმანიძეს (პ/ნ 61005004423) შორის გაფორმებული 2021 წლის 24 ივნისის N3 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს – 1530 (ათას ხუთას ოცდაათი) ლარი.

ბ.ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 233730139) და მაია თურმანიძეს (პ/ნ 61005004423) შორის გაფორმებული 2021 წლის 24 ივნისის N4 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს – 1530 (ათას ხუთას ოცდაათი) ლარი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
სოფელ სუფსაში მცხოვრებ ლია კუპრაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ალექსანდრე,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ჩემს შორის გაფორმებულ 2020 წლის 17 სექტემბრის N 2 იჯარის ხელშეკრულებით რომელიც შეეხება სუფსის ადმინისტრაციულ შენობაში (ს.კ 27.15.52.294) განთავსებულ 14,8 კვ.მ. ფართის იჯარას, მოგახსენებთ რომ ზემოთ აღნიშნული ფართის იჯარის გადასახადი შეადგენს 275,65 ლარს. პანდემიის გამო გარკვეული დროის განმავლობაში ვერ ვახერხებდი თანხის გადახდას რის გამოც დამეკისრა საურავი.

ახლა ყოველწლიურ გადასახადს ვიხდი სრულად და ასეც გავაგრძელებ, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეობა და ჩამომაწეროთ დაკისრებული საურავი.

ლია კუპრაძე

ლ. კუპრაძე

30.05.2023 წელი

592 252650

